ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4209047

ნომერი: AR1635736

თარიღი : 06.10.2018

გაცემის თარიღი : 11.10.2018

გაცნობის თარიღი : 11.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის., ნაკვეთი 01/298; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის., ნაკვეთი 01/298;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტერეზა ერქომაიშვილი პ/ნ 01024038243
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძეს ქუჩა, N 77, ბინა 12

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა გაიხილა თქვენი #AR1635736 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც რომლითაც ეწინააღმდეგებით სამსახურში #AR1467186 ელექტრონული განაცხადით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დადებითად დასრულებას და ითხოვთ დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში 2016 წლის 27 დეკემბერს #AR1467186 ელექტრონული განცხადების საფუძველზე მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება ქ. თბილისში, #01.14.15.001.314, #01.14.15.001.315 და 01.14.15.001.316 საკადასტრო ერთეულებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემასთან დაკავშირებით. შემდგომ პერიოში ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის მოპოვების თაობაზე განაცხადი არ ფიქსირდება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

რაც შეეხება ობიექტზე განაშენიანების რეგულირების გეგმით განვითარების საკითხს და მის განხილვაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას, უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანულ საქალაქო სამსახურს.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge